



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



Empowered lives.
Resilient nations.

პრესრელიზი

საქართველოს პარლამენტი კანონმემოქმედებითი პროცესის გამჭვირვალობასა და მოქალაქეთა ჩართულობას განიხილავს

2017 წლის 18 და 19 დეკემბერს თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა გამჭვირვალე და მონაწილეობითი საკანონმდებლო პროცესის უზრუნველყოფის პრაქტიკული გზების შესახებ. შეხვედრის ორგანიზატორი იყო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერით.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 35-ზე მეტმა მონაწილემ საქართველოს პარლამენტიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

ეს იყო რიგით მეორე თემატური ღონისძიება, რომელიც 2015 წელს OSCE/ODIHR-ის მიერ საქართველოს საკანონმდებლო პროცესის შეფასებას ეფუძნება. შეფასება, რომელიც საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით ჩატარდა, ითვალისწინებდა საქართველოში კანონმემოქმედებითი პროცესის რეგულირებისა და პრაქტიკის სიღრმისეულ ანალიზს და მისი გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას, მათ შორის საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებით.

„საქართველოს პარლამენტის მზადაა მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად, რაც ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმაშიც და ჩვენს საქმიანობაშიცაა ასახული. ამ შეხვედრამ პრაქტიკული წვლილი უნდა შეიტანოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში პარლამენტის რეგლამენტის თანახმად. ჩვენ ვქმნით ღია სივრცეს და კარგ გარემოს მოქალაქეთა მეტი ჩართულობისთვის საკანონმდებლო პროცესში“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ.

შეხვედრაზე გამართულ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს ODIHR-ის ექსპერტებმა ავსტრიიდან, ხორვატიიდან და ესტონეთიდან. მათ ისაუბრეს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის წახალისების კარგი პრაქტიკაზე, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

„საჯარო კონსულტაციები და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები აუცილებელია კანონმდებლობის ეფექტურობისა და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად“, - განაცხადა ODIHR-ის იურიდიულმა ოფიცერმა იური მარჩენკომ. „ჩვენი სამუშაო შეხვედრა პარლამენტისთვის პრაქტიკული გადაწყვეტილებების დეტალური შესწავლის შესაძლებლობაა, რომელთა გამოყენებითაც მას შეუძლია საკანონმდებლო პროცესი გახადოს უფრო ღია და მონაწილეობითი.“

შეხვედრის დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვას, რომელიც ხელს შეუწყობს პარლამენტის მუშაობაში საზოგადოების მონაწილეობას. ცვლილებები მომზადდა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც მხარს უჭერს ევროკავშირი, UNDP და IDFI.

„ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ძალისხმევას მიაღწიოს გამჭვირვალობას, ღიაობას და მოქალაქეთა ჩართულობას მმართველობისა და კანონმემოქმედების პროცესებში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა 2018 წელს ღია მმართველობის გლობალური პარტნიორობის (OGP) თავმჯდომარეობს და ამ

სფეროში სამაგალითო შედეგებს უნდა მიაღწიოს“, - განაცხადა სოფი ჰუეტ გერიშმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მმართველობის სექტორის კოორდინატორმა.

საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი 2011 წელს გახდა. 2015 წელს, საქართველოს პარლამენტი საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციას შეუერთდა და მიიღო ქვეყნის პირველი საკანონმდებლო ღიაობის სამოქმედო გეგმა. 2016 წლის მაისში, საქართველო (საფრანგეთთან ერთად) OGP-ის მმართველი კომიტეტის თანათავმჯდომარე, ხოლო 2017 წლის სექტემბერში ერთი წლის ვადით OGP-ის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა.

ბმულები:

OSCE/ODIHR-ის მიერ საქართველოს საკანონმდებლო პროცესის შეფასება:

<http://www.legislationline.org/documents/id/19599>

პირველი სამუშაო შეხვედრა (ნოემბერი 2015): <http://www.osce.org/odihr/202176>